ბრძანება

N 397
24/07/2020

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ

,,განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის (შემდგომ - სტანდარტი) მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისათვის (შემდგომ - სამსახური) წარდგენილ იქნა აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (შემდგომ - აბფმფ) 2020 წლის 25 ივნისის Nფა/2-07 განცხადება (რეგისტრაციის N114812/16, 26.06.2020). წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის N677 ბრძანებით შექმნილმა სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიამ (შემდგომში - კომისია) განიხილა 2020 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა და მიიჩნია, რომ რედაქცია საჭიროებდა რიგ ცვლილებებსა და დამატებებს, რის შესახებაც ინფორმაცია აბფმფ-სათვის წარდგენილ იქნა სამსახურის 2020 წლის 03 ივლისის N16/68148 წერილით. აბფმფ-ს მიერ გათვალისწინებულ იქნა სამსახურის მიერ წარდგენილი წინადადებები, რაც აისახა 2020 წლის 10 ივლისის Nფა/2-08 წერილში (რეგისტრაციის N140164/16; 21.07.2020წ).

კანონის, სტანდარტის და კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე (N16/68148; 03.2020წ),

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს აბფმფ-ს განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება, მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს წარმოდგენილი განგრძობითი განათლების 2020 წლის პროგრამა;

2. მიენიჭოს აბფმფ-ს განგრძობითი განათლების 2020 წლის პროგრამას ნომერი- SARAS-CPD-009/20;

3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს აბფმფ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო აბფმფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;

4. დაევალოს აბფმფ-ს აღიარებული განგრძობითი განათლების პროგრამის შესაბამის საიტზე გამოქვეყნება (www.gfaafm.ge);

5. გადაწყვეტილება გაეგზავნოს აბფმფ-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური